

თავი 8 ორი ზოოპარკი

ჯონათანი ცდილობდა გარკვეულიყო ამ უცნაური კუნძულის თავისებურებებში. ნუთუ ეს ხალხი მართლაც თანახმაა, იცხოვროს იმ კანონებით, რომლებსაც უბედურების გარდა არაფერი მოაქვს მათთვის? ყოველივე ამას, ალბათ, გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონოდა. აქ ხომ ასეთი კარგი ბუნება და სუფთა ჰაერია, ეს ნამდვილი სამოთხე უნდა იყოს. ქუჩაში მიმავალმა ჯონათანმა ნაბიჯი შეანელა.

უეცრად იგი აღმოჩნდა გზაზე, რომლის გასწვრივ, ორივე მხარეს რკინის ღობე იყო აღმართული. მარჯვენა მხარეს, ღობის გადაღმა ჯონათანმა შეამჩნია უამრავი სხვადასხვა ზომისა და ფორმის უცნაური ცხოველი – ვეფხვები, ზებრები, მაიმუნები. მისგან მარცხნივ კი, ასეთივე ღობის მიღმა, შავ-თეთრ ზოლებიან სამოსში გამოწყობილი ქალები და კაცები დახეტილობდნენ. ერთმანეთის მოპირდაპირედ დამწყვდეული ეს ორი ჯგუფი საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა. ჯონათანმა შეამჩნია შავ უნიფორმაში ჩაცმული ხელკეტით შეიარაღებული მამაკაცი. ეს იყო დარაჯი, რომელიც ორ ჩაკეტილ ჭიშკარს შორის დადიოდა. ჯონათანი მიუახლოვდა მას და თავაზიანად იკითხა:

– უკაცრავად, ეს ღობეები რისთვის არის?

– ეს ჩვენი ზოოპარკის ღობეა, – ამაყად უპასუხა დარაჯმა, რომელიც აგრძელებდა სიარულს და ხელკეტს ატრიალებდა.

– ააა, – წარმოთქვა ჯონათანმა და გადახედა სასაცილო კუდებიან ბეწვიან ცხოველებს, რომლებიც გალიების კედლებზე დახტოდნენ.

დარაჯი, როგორც ჩანს, მიჩვეული იყო ადგილობრივი ბავშვებისთვის ექსკურსიის ჩატარებას. ამიტომ, მან განაგრძო თავისი ლექცია:

– როგორც ხედავთ, ჩვენს ზოოპარკში ცხოველთა მრავალფეროვნებაა, – ჩვენთან ცხოველები მთელი მსოფლიოდან ჩამოჰყავთ. ეს ღობე ცხოველებს იცავს, ხოლო ხალხს მათზე დაკვირვების საშუალებას აძლევს. დაუშვებელია, რომ ეს უცნაური ცხოველები ქუჩებში დახეტილობდნენ და საფრთხეს უქმნიდნენ საზოგადოებას.

– ოჰო! – წამოიძახა ჯონათანმა, – ცხოველების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანა და მათი აქ შენახვა ალბათ ძვირი გიჯდებათ?

დარაჯს ჯონათანის ნათქვამზე გაეღიმა. მან თავი ოდნავ გააქნია:

– არა, ზოოპარკის შენახვის ხარჯებს ჩემი ჯიბიდან არ ვიხდი. კორუმპოს კუნძულზე ხომ ყველა იხდის ზოოპარკის გადასახადს.

– როგორ თუ ყველა? – გაოცდა ჯონათანი და გაუცნობიერებლად ცარიელი ჯიბისკენ წაიღო ხელი.

– რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, ვინც თავს არიდებს ვალდებულებების შესრულებას. ზოგი მათგანი აცხადებს, რომ ზოოპარკი საერთოდ არ აინტერესებს.

სხვები კი ამტკიცებენ, რომ ცხოველების შესწავლა ბუნებრივ პირობებში უნდა მოხდეს.

დარაჯი მიბრუნდა გზის მარცხენა მხარეს აღმართული ღობისკენ და მძიმე რკინის ჭიშკარზე ხელკეტით დააბრახუნა.

– თუ მოქალაქე უარს ამბობს ამ გადასახადის გადახდაზე, ჩვენ მას აქ, უსაფრთხო ადგილას, გისოსებს მიღმა ვათავსებთ. ამ უცნაურ ადამიანთა შესწავლაც შესაძლებელია. ამგვარად, ჩვენ ვიცავთ საზოგადოებას მსგავსი ადამიანებისგან.

ის, რაც ჯონათანმა მოისმინა, იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ მას თავბრუსც კი დაეხვა. ჯონათანი ერთმანეთს ადარებდა ღობეებს მიღმა დამწყვდეულ ორ ჯგუფს და ფიქრობდა, თავად თუ შეძლებდა ან დათანხმდებოდა დარაჯისა და ორი ზოოპარკის შესანახი თანხის გადახდას. იგი ხელებით გისოსებს ჩაებლაუჭა და დაუინებოთ აკვირდებოდა ზოლებიან სამოსში ჩაცმულ ადამიანთა ამაყ სახეებს.

შემდეგ კი გახედა ქედმაღალი გამომეტყველების მქონე დარაჯს, რომელიც კვლავ ბოლთას სცემდა და ხელკეტს ათამაშებდა.

გისოსებს შორის ნაცნობმა ყვითელზოლება კატამ გაირბინა, რომელიც ამჯერადაც საჭმელს ეძებდა. დარაჯმა ხელკეტი გისოსებს მიარტყა. კატამ ჯონათანისკენ გაკურცხლა და მის ფეხს უკან დაიმაღა. კატამ თათი აილოკა და რწყილებით შეწუხებულმა ქექვა დაიწყო.

– თაგვები გიყვარს, არა? ბევრი თაგვი! – თქვა ჯონათანმა. მან თავის ახალ მეგზურს თავზე ხელი გადაუსვა და მიმართა, – მაისისი¹ რომ შეგარქვა, რას იტყვი, მეგობარო? შენ ხომ ორივე ღობის მიღმა იყავი, მაშ რომელ მხარეს არის უფრო საშიში?

¹ ინგლ. mice – თაგვებს ნიშნავს